მოსწავლეთა წერითი მეტყველების უნარ – ჩვევების ფორმირება გრამატიკის სასკოლო კურსის სწავლებისას

(სტილისტიკურ ჩვევათა ფორმირება)

სოფიო ჩუბინიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის (ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი (ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათელა მაღლაკელიძე

ილიას სახელწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

სოფიო ჩუბინიძე

აბსტრაქტი

შრომაში განხილულია მოსწავლეთა წერითი მეტყველების ფორმირების საკითხები პრაქტიკულ სტილისტიკასთან კავშირში. ჩვენი კვლევის მიზანი იყოგაგვეგო, თუ რა ადგილი უკავია მეტყველების სტილის საკითხებს ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სახელმძღვანელოებში, რა მდგომარეობაა სკოლაში ლექსიკოლოგია-სტილისტიკის საკითხების სწავლების თვალსაზრისით, რამდენად ეხმარება გრამატიკის სასკოლო კურსის გააზრებული სწავლება სამეტყველო უნარ-ჩვევების ფორმირებას, როგორ ხდება სტილისტური ჩვევების ფორმირება ტექსტის ანალიზისას, რამდენად არიან მზად ამ კუთხით ჩვენი კურსდამათავრებულები ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად. სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით შევისწავლეთ და დავამუშავეთ საკვლევი საკითხის ირგვლივ არსებული სპეციალური ლიტერატურა,გავაანალიზეთ სწავლების ფაქტობრივი მდგომარეობა, გავეცანით დარგთან დაკავშირებულ მეორეულ თეორიულ მასალას. ჩატარებული იქნა ინტერვიუ მასწავლებლებთან, ტესტირება და გამოკითხვა მოსწავლეებთან.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სტილისტიკას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სახელმძღვანელოებში, თუმცა მოსწავლეებს უჭირთ ამ დარგის დაუფლება. მასწავლებელთა აზრით ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს გრამატიკული ნორმების არცოდნითა და სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილისთვის დათმობილი არასაკმარისი დროით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: გრამატიკა, მორფოლოგია, სტილისტიკა, ლექსიკოლოგია, კვლევა.

Abstract

The work deals with the formation of students' writing in connection with practical stylistic. Our aim of the study was to find out, what kind of role speech style plays in the national curriculum and manuals, what is the situation in the schools toward the teaching of lexicology and stylistics, How does grammar school course help to form speech skills, how does the stylistic habits form while analyzing the text. Are our graduates ready to pass the National exams? We learned and developed special literature connecting with master's thesis, we have analyzed the actual situation of teaching, we examined secondary theoretical material connecting with the branch. The interview was conducted with teachers, we tested the students.

According to the research, stylistics plays an important role in the national curriculum and manuals, though it is difficult for students to learn this field. According to the teachers this may be caused by lack of knowledge of grammatical norms and insufficient time of Georgian Language and Literature at schools.

Key search words: grammar, morphology, Stylistics, lexicology, study.

მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ქალბატონ ნათელა მაღლაკელიძეს გაწეული დახმარებისთვის. ქალბატონმა ნათელამ დიდი წვლილი შეიტანა იმაში, რომ აღნიშნული კვლევა ყოფილიყო ისეთი სახით, როგორსაც ამას დღეს წარმოგიდგენთ.

ასევე მინდა მადლობა გადავუხადო ქალაქ თბილისის 39–ე და სოფელ კეხიჯვრის საჯარო სკოლების დირექტორებსა და მასწავლებლებს, რომლებმაც საშუალება მოგვცეს მათ სკოლაში ჩაგვეტარებინა კვლევა. მიუხედავად მათი დატვირთული გრაფიკისა გამონახეს რამოდენიმე წუთი იმისათვის, რომ ჩვენს დასმულ კითხვებზე ეპასუხათ. გარდა ამისა დაგვითმეს საგაკვეთილო დრო და მოსწავლეებს შეუტანეს ჩვენს მიერ მიწოდებული ტესტები.